ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 356

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

გამარტივებული შესყიდვა

საქონლის შესყიდვა

ზესტაფონი 31 დეკემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი გამგებლის ტარიელ თუთარაშვილის სახით (მისამართი: ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ №11 (შემდგომში _ შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს საპოვნელა+" -ს დირექტორი პავლე გეწაძე (მისამართი ზესტაფონი, აღმაშენებლის ქუჩა N85) (შემდგომში- მიმწოდებელი) ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის N506 განკარგულება ,,სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამსახურის უფროსის 2015 წლის 30 დეკემბრის N3279–43 მოხსენებითი ბარათისა და ბარათზე თანდართული დეფექტური აქტების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტება

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ -"ხელშეკრულება") შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" პირი, რომელიც ახორციელებს მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

1.6 ,,საქონელი" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2 .ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია 2015 წლების ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" 2014 წლის ეკონომიით, 2015 წლის გაუნაწილებელი თანხით და 2015 წლის ეკონომიით დეფექტური აქტების შესაბამისად საქონლის შესყიდვა. კლასიფიკატორის კოდით: 44100000; 14200000;

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტი

3.1. შესყიდვის ობიექტია ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შემავალი სანახშირის, როდინაულის, ქვ.საქარის, ფუთის, პირველი სვირის, კვალითის, შროშის, ილემის, ბოსლოჯის და კლდეეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებლად სასაქონლო ბეტონის და ინერტული ძასალის შესყიდვა ცხრილი N 1–ის შესაბამისად.

შემსყიდველი მიმწოდებელი

ცხრილი N1.

ცხრილი N1	სამუშაოს დასახელება	კლასიფიკატორის კოდი	მასალები	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1	ალავერდის სასაფლაო გზაზე ბეტონის ფენილის მოსაწყობი მასალა	44100000	სასაქონლო ბეტონი 15(მ 300)	მ³	15	128,6	1929 ლარი
2	თვრინის სასოფლო გზაზე ბეტონის ფენილის მოსაწყობი მასალა	44100000	სასაქონლო ბეტონი 31 (მ 300)	მ³	31	128,6	3986,6 ლარი
3	მარტოთუბნის და წიფლავაკის ცენტრალური გზების გვერდულების შესავსებად ინერტული მასალების შეძენა	14200000	ხრეში (ღორღი)	მ³	125	17,8	2227 ლარი
4	როდინაულის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის საუბნო გზებზე ბეტონის ფენილის მოწყობა	44100000	სასაქონლო ბეტონი 28 (მ-300)	მ³	28	128,6	3600,8 ლარი
5	ქვ.საქარის ადმინისტრაციულ ერთეულში ლიპარიშვილები-რუხაძეების სასოფლო გზის რეაბილიტაციისათვის სასაქონლო ბეტონის შესყიდვა	44100000	სასაქონლო ბეტონი 69,7 (მ300)	მ³	69,7	128,6	8963,45 ლარი
6	ბოსლევის ადმინისტრაციულ ერთეულში კახნიაშვილების უბანში გზაზე ხრეშის შეტანა მოსწორებით	14200000	ხრეში (ღორღი)	მ³	174	22,8	3979 ლარი
7	სოფელ ცხრაწყაროში, სოფელ ზედა კვალითში და სოფელ ძლოურდანეთში საუბნო გზების რეაბილიტაცია მთის ქანით	14200000	მთის ქანი	მ³	406	9,95	4037 ლარი
8	ილემის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის საუბნო გზებზე ბეტონის ფენილის მოწყობა	44100000	სასაქონლო ბეტონი 7,8 (მ-300)	მ³	7,8	128,6	1003,1ლარი
9	შროშის ადმინისტრაციულ ერთეულში საუბნო გზაზე ბეტონის ფენილის მოსაწყობი მასალა	44100000	სასაქონლო ბეტონი 20,8(მ-300)	მ³	20,8	128,6	2674,9 ლარი
10	პირველი სვირის ადმინისტრაციულ ერთეულში ხრეშის შეზიდვა მოსწორება-მოშანდაგება	14200000	ხრეში (ღორღი)	მ³	180	19,87	3577 ლარი
11	ფუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, საუბნო გზების ბეტონის ფენილის მოსაწყობი მასალა	44100000	სასაქონლო ბეტონი 15 (მ300)	მ³	15	128,6	1929ლარი
							37998,85 ლარი

შემსყიდველი

მიმწოდებელი

მუხლი 4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

4.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

4.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება 37 998,85 ლარი, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქონლის მიღება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება.

დ)მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ე) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები კეთილსინდისიერად;

5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ)მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოსთხოვს შემსრულებელს ნაკლის აღმოფხვრა.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს საქონელი შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს წერილობითი მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) კეთილსინდისიერად შესარულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

5.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია თან იქონიოს და სასაქონლო ზედნადებთან ერთად წარმოადგინოს მიწოდებული საქონლის (ბეტონი) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სეთიფიკატი).

6.3. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს უდეფექტო. თუ გამოვლენილი იქნება წუნი (ხარვეზი), მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) უზრუნველყოს აღნიშნული წუნის (ხარვეზი) აღმოფხვრა (საქონლის ახლით შეცვლა), გამოვლენიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან 2016 წლის 08 თებერვლის ჩათვლით.

7.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი– ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ცხრილში მითითებული ობიექტები.

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

მუხლი 8 . ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

8.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის ნაწილისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

8.3. ინსპექტირებას განახორციელებენ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 05 თებერვლის N 43 283 ბრძანებით შექმნილი კომისია.

მუხლი 9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. საქონლის მიწოდების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც ფორმდება წერილობით ფორმით და დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელისმოწერით ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის დასკვნისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

მუხლი 10. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

10.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში – ლარებში.

10.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.

10.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის საფუძველზე 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

მუხლი 11. შეტყობინება

11.1. ნებისმიერი შეტყობინება, წერილობითი ფორმით, მხარეთა მიერ ხელმოწერილი უნდა გაეგზავნოს მხარეს და მიეწოდოს მისამართზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.
11.2. შეტყობინება შეიძლება გადაცეს ხელიდან ხელში ან გაიგზავნოს ფოსტის მეშვეობით.
11.3. წინამდებარე ხელშეკრულების და ყველა სხვა მიზნებისათვის შეტყობინება ჩაითვლება მოწოდებულად:
ა) **ხელიდან ხელში გადაცემისას:** როდესაც ის პირადად მიეწოდება მხარეს ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე.
ბ) **კურიერული ფოსტა:** თუ გაიგზავნა ფოსტის მეშვეობით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, რაც დასტურდება კურიერის მიწოდების დასტურის ჩანაწერში.

მუხლი 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1.თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის [illegible] ობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა, გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების ამავე მუხლის შესაბამისად.

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

12.3.ხელშეკრულების მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევა არ ჩაითვლება ბრალეულ დარღვევად, თუ აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, განსახორციელებელი ქმედება სავალდებულოდ საჭიროებს რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემას, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანო არ ახდენს აღნიშნულზე ხელშეკრულების მხარის მოთხოვნის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განხილვას ან უსაფუძვლოდ უარს ეტყვის ხელშეკრულების მხარეს ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემაზე

12.4. წინამდებარე მუხლი არ მოიცავს ფორსმაჟორულ გარემოებებს და მათი რეგულირება ხდება სხვა მუხლით.

მუხლი 13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ხელშეკრულებით განსაზღვული პირობების დარღვევის ან/და ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯამური ღირებულების 0, 1 %.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3(სამ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება ცალმხრივად და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 მიმწოდებელი ვიდრე არ აანაზღაურებს პირგასამტეხლოს, შემსყიდველს უფლება აქვს დააკავოს აღნიშნული თანხა და პირდაპირ მიმართოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

13.5 ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში სამუშაოს მიმწოდებელი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 30(ოცდაათი)%–ის ოდენობით.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2016 წლის 21 მარტის ჩათვლით.

მუხლი 15. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

16.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

16.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

მუხლი 17. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

17.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

17.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 18. სხვა პირობები

18.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

18.2.. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 03 (სამი) ეგზემპლიარად, რომელსაც აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე

18.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მუხლი 19. მხარეთა იურიდიული მისამართები, რეკვიზიტები, ხელმოწერები

შემსყიდველი:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ტარიელ თუთარაშვილი

სს „ლიბერთი ბანკი"

ზესტაფონის ფილიალი

ბანკის კოდი LBRTGE22

ა/ა № GE03LB0120177576710000

ს/კოდი:230087045

მისამართი: ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ. 11

ტელ 0492 25 26 26

მიმწოდებელი:

შპს „საპოვნელა +"

დირექტორი პავლე გეწაძე

სს „ბანკი რესპუბლიკა"

ბანკის კოდი REPLGE22

ა/ა № GE14BR0000010347466340

ს/კოდი № 230085305

მის: ზესტაფონი.აღმაშენებლის ქ. #85

მობ: 599086701

ვიზირების ავტორები:

მალხაზ მაჭვარიანი

ვიტალი ჩინჩალაძე

ტარიელ სახელაშვილი

გიორგი ჯუღელი